საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/87

ქ. ბათუმი 12.10. 2017 წელი

„ბსუ-ში 2017 წელს დასაფინანსებელი სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების შესარჩევი საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 26 აპრილის N01-08/25 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, წესდების მე-13 მუხლის და „ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის N1 გადაწყვეტილების, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის, მერაბ დიასამიძის 2017 წლის 11 ოქტომბრის N1242511 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „ბსუ-ში 2017 წელს დასაფინანსებელი სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების შესარჩევი საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 26 აპრილის N01-08/25 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ: **ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1“. დამტკიცდეს ბსუ-ში 2017 წელს დასაფინანსებელი სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების შესარჩევი მუდმივმოქმედი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) მერაბ დიასამიძე - ბსუ-ს კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

გ) გიორგი ქათამაძე - ბსუ-ს მოწვეული მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

დ) რევაზ ოკუჯავა, ბსუ-ს კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

ე) ედიშერ ჩავლეიშვილი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი, საბჭოს წევრი;

ე) ედიშერ ჩავლეიშვილი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი, საბჭოს წევრი;

ვ) გენო გელაძე -არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ზ) გიორგი მოისწრაფიშვილი - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის „აჭარის ტელევიზია და რადიო"-ს რადიო და ინტერნეტ-მაუწყებლობის განვითარების სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

თ) ნინო ინაიშვილი - „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ ბათუმის წარმომადგენელი, საბჭოს წევრი.

2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

4. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე.

რექტორი,

ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში